შუახევის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დაბა შუახევი

N 06-365
31/05/2019

365-07-4-201905311048

ა(ა)იპ „შუახევის კომუნალური სამსახურის“ წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება ა(ა)იპ „შუახევის კომუნალური სამსახურის“ (ს/ნ 247865314) წესდებაში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ამ ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის უფლებამოსილება მიენიჭოს ა(ა)იპ „შუახევის კომუნალური სამსახურის“ დირექტორს ზაზა დავითაძეს (პ/ნ 61010002490).

3. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება დაინტერესებული მხარისათვის გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

ფრიდონ ფუტკარაძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

AJARA AUTONOMOUS REPUBLIC OF GEORGIA • SHUAKHEVI MUNICIPALITY • HALL OF SHUAKHEVI 247865145

დანართი

კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „შუახევის კომუნალური სამსახური“-ს წესდება

მუხლი 1. საერთო დებულებები

1. კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „შუახევის კომუნალური სამსახური” (შემდგომში სამსახური) შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა” და `მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომლის დამფუძნებულია თვითმმართველი ერთეული – შუახევის მუნიციპალიტეტი. (მისამართი: შუახევი, დაბა შუახევი, თამარ მეფის ქ. №30).

2. სამსახური წარმოიქმნება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და არსებობს განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა

1. სამსახურის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა – კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, შემოკლებით - ა(ა)იპ.

2. იგი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ იურიდიულ პირს.

3. საფირმო სახელწოდებაა: კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი `შუახევის კომუნალური სამსახური”.

4. სამსახურს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი, ბლანკი, საფირმო ნიშანი რეგისტრირებული დადგენილი წესით, აქვს ანგარიში ბანკში.

5. სამსახურის იურიდიული მისამართია: შუახევი, დაბა შუახევი, თამარ მეფის ქ. №17

მუხლი 3. საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. საწესდებო მიზნების შესაბამისად, სამსახურის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს:

ა) წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების ექსპლუატაცია და მისი შემდგომი განვითარება:

ბ) წყალმიმღებებისა და გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაცია და უზრუნველყოფა:

გ) შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაცია და უზრუნველყოფა:

დ) შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიღვრე სისტემების ექსპლუატაცია და უზრუნველყოფა

ე) სოფლის სარწყავი არხების მოვლა-პატრონობა;

ვ) საზოგადოების ინფორმირება წყლის წარმოების ეფექტურად გამოყენებისა და წყლის გახარჯვის შეზღუდვების შესახებ;

ზ) შუახევის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული დასახლებული პუნქტების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა;

თ) შუახევის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის ობიექტების (საპირფარეშოები; მოსაცდელები და სხვა) მოვლა-პატრონობა, დასუფთავება და მათი სანიტარული-ჰიგიენური მდგომარეობის უზურნველყოფა;

ი) შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული განათების სისტემების მოვლა-პატრონობა, გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;

კ) შუახევის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული სკვერების, პარკების, მუნიციპალიტეტის დაფინანსებით მწვანე ნარგავების გაშენება, მათი მოვლა-პატრონობა;

ლ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის და მერიის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო კაბინეტების დაგვა-დასუფთავება, გათბობის სიტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;

მ) მერის ბრძანებით ისეთი სამუშაოების განხორციელება, რომელიც გათვალისწინებული არ არის ამ მუხლში და მათი შესრულება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

2. სამსახური უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულებები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან სამუშაოების შესრულებასა და მომსახურებაზე;

3. სამსახურს უფლება აქვს:

ა) დროებითი, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით ფიზიკურ და იურიდიული პირებს გადასცეს შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული უძრავი და მოძრავი ქონება და დაადგინოს ქირის ოდენობა;

ბ) განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, საწარმოსა და პარტნიორის ინტერესებს.

4. სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში _ აუცილებელი ლიცენზიებისა და ნებართვების საფუძველზე.

5. სამსახურის ძირითადი მიზანი არ არის მოგების მიღება. წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამეწარმეო – კომერციული საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი მოხმარდება მხოლოდ სამსახურის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, მისი მიზნების განხორციელებასა და ფუნქციების შესრულებას.

6. წყალმომარაგების ობიექტების ნუსხა, რომელთა გამართულ მუშაობაზეა პასუხისმგებელი სამსახური, განისაზღვრება მერის ბრძანებით.

მუხლი 4. სამსახურის ქონება

1. სამსახურისთვის შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას ღებულობს შუახევის მუნიციპალიტეტის მერი.

2. დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის მიზნით, სამსახურს უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, აიღოს მიზნობრივი სესხები, .მოიზიდოს თავისუფალი სახსრები, როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისაგან შუახევის მუნიციპალიტეტის მერის ნებართვით.

მუხლი 5. სამსახურის მართვა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს შუახევის მუნიციპალიტეტის მერი.

2. ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება სამსახურის ჩვეულებრივ საქმიანობას, დირექტორმა უნდა შეათანხმოს შუახევის მუნიციპალიტეტის მერთან.

3. დირექტორი ამ წესდებით განსაზღვრული წესით პირადად აგებს პასუხს სამსახურის საქმიანობაზე; დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან სამუშაოების შესრულებასა და მომსახურებაზე, ხსნის ანგარიშებს ბანკში, საჭიროების შემთხვევაში იღებს სესხებს შუახევის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, სამუშაოდ იღებს და ათავისუფლებს მუშაკებს, წყვეტს მათი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს, შუახევის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს სამსახურის მართვის სტრუქტურას, საშტატო განრიგს, შეაქვს

ცვლილებები მასში, უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სტანდარტებისა და ნორმების დაცვას სამსახურის საქმიანობის ყველა სფეროში.

4. სამსახურის დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის (დროებითი შრომისუუნარობის) გამო ან სხვა საფუძვლის არსებობისას

დირექტორისათვის შრომითი ურთიერთობის დროებით შეჩერების დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ გადაწვეტილებას ღებულობს მუნიციპალიტეტის მერი..

მუხლი 6. სამსახურის სამეურნეო საქმიანობა

სამსახური საქმიანობას ახორციელებს საკუთარი სახელით.

მუხლი 7. წლიური შედეგები

წლიური შედეგები აისახება სამსახურის ბალანსითა და საბუღალტრო ანგარიშებით, რომელსაც დირექტორი დასამტკიცებლად უდგენს შუახედვის მუნიციპალიტეტის მერს, საფინანსო წლის შედეგების მიხედვით.

მუხლი 8. აღრიცხვა და ანგარიშგება და კონტროლი

1. სამსახური ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და წარუდგინოს შუახევის მუნიციპალიტეტის მერს.

2. შუახევის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია განახორციელოს სამსახურის საფინანსო კონტროლი შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდააუდიტის სამსახურის ან დამოუკიდებელი აუდიტის მეშვეობით;

3. სამსახურის ძირითად საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

მუხლი 9. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სამსახურის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ფრიდონ ფუტკარაძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა